

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N8, 25.03.2004, მუხ. 38) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-19 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ წინადადება პარლამენტში შეაქვს საქართველოს გენერალურ პროკურორს. შესული წინადადების საფუძვლიანობას 5 დღის ვადაში შეისწავლის და განიხილავს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი, რომელიც წერილობით დასკვნას წარუდგენს პარლამენტის ბიუროს. ბიუროს საკითხი განსახილველად შეაქვს პარლამენტის უახლოეს პლენარულ სხდომაზე. პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვის შემდეგ გადაწყვეტილება მიიღება დადგენილებით.“.

2. 22-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

„3¹. პარლამენტის წევრს, უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში მხოლოდ ერთხელ, შეიძლება მიეცეს შვებულება (ანაზღაურების გარეშე) არა უმეტეს 3 თვისა. აღნიშნულ შემთხვევაში შვებულების თაობაზე, პარლამენტის წევრის მოტივირებული განცხადების საფუძველზე, პარლამენტის ბიუროსთან შეთანხმებით გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტის თავმჯდომარე. ამ პუნქტით გათვალისწინებული შვებულების პერიოდში პარლამენტის წევრს არ მიეცემა ხელფასი და უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურება“.

3. 26-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პარლამენტის წევრს გამოეყოფა სამსახურებრივი ავტომობილი (საჭიროების შემთხვევაში ადაპტირებული ან სპეციალური), ექმნება შესაბამისი სამუშაო გარემო, ენიშნება დამხმარე – თანამემწე (თანმხლები).“.

4. 32-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომიტეტის თავმჯდომარეს კომიტეტის წევრთაგან ირჩევს პარლამენტი ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. კომიტეტის თავმჯდომარის არჩევისას კენჭისყრა ფარულია. პარლამენტის თავმჯდომარის, უმრავლესობის, უმცირესობის, ფრაქციისა და პარლამენტის წევრთა 10 კაციანი ჯგუფის მოთხოვნის შემთხვევაში, თუ ამ მოთხოვნას მხარს დაუჭერს პარლამენტი დადგენილებით შეიძლება ჩატარდეს ღია კენჭისყრა.“;

გ) მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. კანდიდატთა დასახელების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე აქვეყნებს კანდიდატთა სიას. კანდიდატს უფლება აქვს მოხსნას თავისი კანდიდატურა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. კანდიდატებს კენჭი ეყრებათ დასახელების რიგითობის მიხედვით.“.

6. კომიტეტის თავმჯდომარის არჩევის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. თუ კანდიდატი მოაგროვებს კომიტეტის თავმჯდომარის არჩევისათვის საჭირო ხმათა რაოდენობას, კენჭისყრის პროცედურა წყდება და დარჩენილ კანდიდატებს კენჭი არ ეყრებათ.”.

5. 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„ე) ყოველი წლის შედეგების მიხედვით, საშემოდგომო სესიის დანებებისას წარუდგენს პარლამენტს საქმიანობის წერილობით ანგარიშს;”.

6. 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის:

„ბ) მონაწილეობს პარლამენტში შესული კანონპროექტების განხილვა-დამუშავებაში, ამზადებს დასკვნებს და კანონპროექტების თაობაზე წარმოდგენილი შენიშვნების პროექტში გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველ ფურცელს გადასცემს პარლამენტის შესაბამის ორგანოს და თითოეული შენიშვნის ავტორს;”.

7. 57-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე აირჩევა ამ რეგლამენტის 32-ე მუხლის მე-2-მე-8 პუნქტების შესაბამისად, ხოლო გადაყენება ხდება ამ რეგლამენტის 33-ე მუხლის შესაბამისად დადგენილი წესით.”

8. 69-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დროებითი საგამოძიებო კომისია უფლებამოსილია კონკრეტული დავალების შესასრულებლად, შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელთან შეთანხმებით მოიწვიოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა ორგანოთა, დაწესებულებათა და უწყებათა თანამშრომლები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში თავისუფლდებიან სამსახურებრივი მოვალეობისაგან და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში უნარჩუნდებან ხელფასი და აუნაზღაურდებან სამივლინებო ხარჯები.”.

9. 72-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობის შემოწმების მიზნით.”.

10. 74-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადას განსაზღვრავს პარლამენტი, მაგრამ არა უმეტეს 3 თვისა, გარდა ამ რეგლამენტის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამ რეგლამენტის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კომისიის უფლებამოსილების ვადა შეიძლება გაგრძელდეს დამატებით 3 თვით. დაუშვებელია დროებითი კომისიის შექმნა შესაბამისი მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე.”.

11. 73-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დროებითი კომისიაში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს კომისიის შექმნის შესახებ დადგენილების მიღებისთანავე განსაზღვრავს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი და ამტკიცებს პარლამენტის ბიურო.”.

12. 74-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ რეგლამენტის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შექმნილი დროებითი კომისია ვალდებულია პარლამენტს 3 თვეში ერთხელ მაინც, ასევე კომისიის ვადის ამოწურვის ან/და გაგრძელებისას წარუდგინოს განუყოფელი საქმიანობის ანგარიში. თუ იგი არ წარუდგენს ანგარიშს ან პარლამენტი წარუდგენს ანგარიშს არადაამაკმაყოფილებლად მიიჩნევს, პარლამენტი დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას დროებითი კომისიის თავმჯდომარისა და წევრების შეცვლის შესახებ.”.

13. 77-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე აირჩევა ამ რეგლამენტის 32-ე მუხლის მე-2-მე-8 პუნქტების შესაბამისად, ხოლო გადაყენება ხდება ამ რეგლამენტის 33-ე მუხლის შესაბამისად დადგენილი წესით.”

14. 90-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ინფორმაცია ამ მუხლის პირველ, მე-2–მე-4 პუნქტებში აღნიშნული ცვლილებების შესახებ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მიერ ეცნობება პარლამენტს და ქვეყნდება „პარლამენტის უწყებანში“.

15. 109-ე მუხლის:

ა) 3² ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3²) პარლამენტის წევრს ამ რეგლამენტით დადგენილი წესით, ბრძანებით ანიჭებს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სასჯელალსრულების დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლებას;

ბ) 3² ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3³ და 3⁴ ქვეპუნქტები:

„3³) ბრძანებით ადგენს საქართველოს პარლამენტის წევრთათვის და პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების წესს;

3⁴) ახორციელებს ამ რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.“.

16. 120-ე მუხლის:

ა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. პარლამენტის ბიუროს სხდომა, როგორც წესი, საჯაროა. ბიუროს სხდომა შეიძლება დაიხუროს, თუ ამას მოითხოვს ბიუროს წევრი და მის მოთხოვნას მხარს დაუჭერს ბიუროზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ბიუროს დახურულ სხდომაზე დამსწრე პირთა წრეს ადგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირი.“;

ბ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. საქართველოს მთავრობის წევრს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, საქართველოს გენერალურ პროკურორს, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, საქართველოს სახალხო დამცველს, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის საპარლამენტო მდივნებს და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს შეუძლიათ პარლამენტის ბიუროს წინაშე დააყენონ საკითხი და მონაწილეობა მიიღონ მის განხილვაში სათათბირო ხმის უფლებით.“.

17. 128-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პარლამენტის მორიგი პლენარული სხდომები, გარდა საგანგებო და საომარი მდგომარეობისას, იმართება მხოლოდ პლენარული სხდომების კვირის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს 11 საათიდან 19 საათამდე; 14 საათიდან 16 საათამდე ცხადდება შესვენება. პარლამენტის პლენარული სხდომა, დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სიით შემადგენლობის ერთი მეხუთედისა, შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ 21 საათამდე დაწყებული საკითხის განხილვის დასრულების ან/და კენჭისყრის პროცედურის ჩატარების მიზნით. ყოველი თვის პლენარული სხდომების ბოლო ხუთშაბათს 16 საათიდან 19 საათამდე, როგორც წესი, ტარდება სამთავრობო საათი.“.

18. 130-ე მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარისა ან/და პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ ერთი მეოთხედის წერილობითი მოთხოვნით, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტს გადასცემს პარლამენტის თავმჯდომარე 24 საათში, ან საკუთარი ინიციატივით სესიებს შორის პერიოდში იწვევს პარლამენტის რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას – რიგგარეშე სხდომას.

2. წერილობით მოთხოვნას რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე ერთვის რიგგარეშე სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა, ხოლო რიგგარეშე სესიის მოწვევისას – სესიაზე განსახილველ სავარაუდო საკითხთა ნუსხა.“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. რიგგარეშე სესიის მოწვევისას საქართველოს პრეზიდენტის მიერ დღის წესრიგი არ განისაზღვრება. ამ შემთხვევაში დღის წესრიგი განისაზღვრება რეგლამენტის XVII თავით

დადგენილი წესით. რიგგარეშე სხდომა საქართველოს პრეზიდენტის მიერ მოინვევა და ტარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამონაწერისთანავე.”.

19. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის XIX¹ თავი:

„თავი XIX¹
განცხადებები

მუხლი 138¹

1. პლენარული სხდომის კვირის ყოველ სამშაბათს დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ პარლამენტის წევრებს ამ თავით დადგენილი წესით ეთმობათ 30 წუთი განცხადებებისათვის. აღნიშნული დრო სხდომის თავმჯდომარის გადანყვეტილებით, გამომსვლელების რაოდენობის შესაბამისად შეიძლება გაგრძელდეს არუმეტეს 30 წუთისა. ცალკეული პარლამენტის წევრის განცხადების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს და მათთვის გამოყოფილი დროის გაზრდა დაუშვებელია.

2. პარლამენტის წევრები განცხადებებისათვის დღის წესრიგის დამტკიცებამდე პირადად ეწეებიან განმცხადებელთა სიაში, რომელიც დგება სხდომის სამდივნოში და წარედგინება სხდომის თავმჯდომარეს. განმცხადებელთა თანამიმდევრობა განისაზღვრება გამომსვლელთა სიაში ჩანერის მიხედვით. განმცხადებელთა რიგითობის დაცვა სავალდებულოა. დაუშვებელია გამოსვლა სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე. ამასთან, პარლამენტის წევრი გამომსვლელთა სიაში შეიძლება ჩაენეროს მხოლოდ ერთხელ. თუ პარლამენტის წევრი სიტყვის მიცემის მომენტისათვის სხდომას არ ესწრება, მას აღარ აქვს განცხადებისათვის გამოსვლის უფლება. პარლამენტის წევრს, რომელიც ჩანერილია გამომსვლელთა სიაში უფლება არ აქვს მისი გამოსვლისათვის განკუთვნილი დრო დაუთმოს პარლამენტის სხვა წევრს.

3. თუ დღის წესრიგის დამტკიცების დროისათვის სხდომის სამდივნოს განცხადებისათვის არ მიმართავს არცერთი პარლამენტის წევრი, პლენარულ სხდომაზე პარლამენტის წევრთა განცხადებების პროცედურა არ იმართება, რის შესახებაც სხდომის თავმჯდომარე აუწყებს პლენარულ სხდომას.”.

20. 139-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს რედაქციით:

„4. თუ შემოვიდა წინადადება კენჭისყრის გადადების შესახებ, მას პირველ რიგში ეყრება კენჭი. გადანყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სიით შემადგენლობის ერთი მეხუთედისა.”.

21. 141-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კენჭისყრა ყოველთვის არის ღია, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.”.

22. 143-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 143

საკანონმდებლო პროცესი არის კანონპროექტის მომზადებისა და მიღების ერთიანი პროცედურა, რომელიც გულისხმობს: საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტის მიერ კანონპროექტის მომზადებას, პარლამენტში წარდგენას, პარლამენტის მიერ კანონპროექტის განხილვას, მიღებას, საქართველოს პრეზიდენტისათვის ხელმოსაწერად გადაცემას, პრეზიდენტის უფლებას – შენიშვნებით დაუბრუნოს პარლამენტს მიღებული კანონპროექტი, პარლამენტის მიერ პრეზიდენტის შენიშვნებით დაბრუნებული კანონპროექტის განხილვას, მიღებულ კანონპროექტზე პრეზიდენტის მიერ ხელის მოწერას და კანონის გამოქვეყნებას.”.

23. 144-ე მუხლის:

ა) „ბ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტი კანონპროექტს გადასცემს ბიუროს უახლოეს სხდომას, მაგრამ არა უგვიანეს ბიუროს დაწყებამდე 72 საათისა, პარლამენტის ბიუროს შესაბამისი გადანყვეტილების პროექტით;”;

ბ) „ვ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ვ) პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისა და მიღების შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა წამყვან კომიტეტს პირველი მოსმენისას გაზიარებული

შენიშვნების ასახვისათვის, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის მოსამზადებლად;”;

გ) „თ“ და „ი“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) წამყვანი კომიტეტის მიერ განხილვის შემდეგ კანონპროექტი შესაბამისი დასკვნებითა და ალტერნატიული წინადადებებით გადაეცემა პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას მეორე მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგში შესატანად;

ი) პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და მიღების შემდეგ კანონპროექტი გადაეცემა წამყვან კომიტეტს მესამე მოსმენისათვის მოსამზადებლად;”.

24. 147-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კანონპროექტს უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიც აისახება:

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ და მასში აღინიშნება:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

ბ) კანონპროექტის გავლენა საზოგადოებრივ ურთიერთობაზე და მასში აღინიშნება:

ბ.ა) გავლენა მაკროეკონომიკაზე;

ბ.ბ) გავლენა სამეწარმეო სფეროზე;

ბ.გ) გავლენა სოციალურ სფეროზე;

ბ.დ) გავლენა გარემოს დაცვის სფეროზე;

ბ.ე) სხვა ინფორმაცია;

გ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება და მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

გ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

გ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

გ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

გ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

გ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი/პრინციპი;

დ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან და მასში აღინიშნება:

დ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

დ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

დ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

ე) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები და მასში აღინიშნება:

ე.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დანესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

ე.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დანესებულების ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ;

ე.გ) კანონპროექტის ავტორი;

ე.დ) კანონპროექტის ინიციატორი.”;

ბ) მე-3 შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

„3¹. კანონპროექტს ასევე უნდა დაერთოს:

ა) კანონპროექტი სხვა საკანონმდებლო აქტებში იმ ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანის შესახებ, რასაც გამოინვევს ნარდგენილი პროექტის მიღება, აგრეთვე პროექტი

შესაბამის კანონში იმ დამატებათა შეტანის შესახებ, რომლებითაც განისაზღვრება ამ ნორმატიული აქტის ნორმათა დარღვევისათვის დადგენილი პასუხისმგებლობა;

ბ) დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნა, მისი არსებობის შემთხვევაში;

გ) შესაბამის ორგანოში კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული ლობისტის დასკვნა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.”.

25. 148-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პარლამენტისათვის წარდგენილ კანონპროექტს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტი წარუდგენს პარლამენტის ბიუროს უახლოეს სხდომას, მაგრამ არა უგვიანეს ბიუროს დაწყებამდე 72 საათისა, რომელიც უახლოეს სხდომაზე იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ.”.

26. 151-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტისათვის წარდგენილი კანონპროექტი ამ რეგლამენტით დადგენილი წესით განიხილება კომიტეტებში. პარლამენტის ბიუროს მიერ განსაზღვრული წამყვანი კომიტეტი კანონპროექტის განხილვისათვის აწყობს კომიტეტის სხდომას ამ კანონპროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვამდე, მეორე მოსმენით პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის მოსამზადებლად, მესამე მოსმენით კენჭისყრის წინ.”.

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პირველი და მეორე მოსმენით განხილვისათვის მოსამზადებლად კანონპროექტი წამყვანი კომიტეტის სხდომაზე განიხილება ამ რეგლამენტით კომიტეტის სხდომაზე კანონპროექტის განხილვისათვის დადგენილი წესის შესაბამისად.”.

27. 152-ე მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. კომიტეტის სხდომის შემდეგ კანონპროექტი კომიტეტის თავმჯდომარის, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილი მოადგილის ხელმოწერით, წერილობითი ფორმით ეგზავნება პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს პარლამენტის ბიუროს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში შესატანად. ამასთან კანონპროექტის თითოეული გვერდი ვიზირებულ უნდა იქნეს კომიტეტის აპარატის უფროსის მიერ.”.

28. 154-ე მუხლის მე-5 – მე-7 პუნქტები ჩამოუალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. კანონპროექტის ცალკეული ნორმების თაობაზე ალტერნატიული წინადადების წარდგენის უფლება აქვს კომიტეტს, ფრაქციას, უმრავლესობას, უმცირესობას, ცალკეულ პარლამენტის წევრს.

6. კანონპროექტის ცალკეული ნორმების თაობაზე ალტერნატიული წინადადება წერილობითი ფორმით წარდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი კანონპროექტის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისათვის მოსამზადებლად წამყვანი კომიტეტის სხდომამდე, ან კანონპროექტის მეორე მოსმენით პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კენჭისყრამდე არა უგვიანეს 24 საათისა. ალტერნატიული წინადადება წარედგინება წამყვან კომიტეტს და პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს. ალტერნატიული წინადადება ზეპირი ფორმით შეიძლება წარდგენილ იქნეს შესაბამისი კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისათვის მოსამზადებლად წამყვანი კომიტეტის სხდომაზე განხილვისას და იგი ფორმდება კომიტეტის სხდომის ოქმით. კომიტეტის სხდომაზე ალტერნატიული წინადადებების აღრიცხვას უზრუნველყოფს ამ კომიტეტის აპარატი.

7. კანონპროექტის თაობაზე ალტერნატიული წინადადება მიღებულად ითვლება თუ მას დაეთანხმება მომხსენებელი. თუ მომხსენებელი არ ეთანხმება ალტერნატიული წინადადების მიღებას წამყვანი კომიტეტი ან პარლამენტის პლენარული სხდომა კენჭისყრით წყვეტს კანონპროექტის ცალკეული ნორმების თაობაზე ალტერნატიული წინადადების მიღების ან უარყოფის საკითხს.”.

29. 155-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კანონპროექტის მეორე მოსმენისას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე იგი განიხილება ქვეპუნქტების, პუნქტების (ნაწილების) მუხლების, თავების ან/და კარების

მიხედვით და კენჭი ეყრება ერთიანად, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – კარების, თავების, მუხლების, პუნქტების (ნაწილების), ქვეპუნქტების მიხედვით.”.

30. 156-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ შემოტანილ კანონპროექტზე მომხსენებლად გამოდის მის მიერ დანიშნული წარმომადგენელი, ფრაქციისა და კომიტეტის მიერ შემოტანილ კანონპროექტზე - შესაბამისად ფრაქციის (კომიტეტის) თავმჯდომარე, ხოლო მათი არ ყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილი მოადგილე ან ფრაქციის (კომიტეტის) საამისოდ უფლებამოსილი ფრაქციის (კომიტეტის) წევრი, პარლამენტის წევრის მიერ შემოტანილ კანონპროექტზე – ინიციატორი პარლამენტის წევრი, აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ შემოტანილ კანონპროექტზე – მათ მიერ დანიშნული შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, 30 000 ამომრჩევლის მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე – საინიციატივო ჯგუფის მიერ არჩეული წარმომადგენელი, ხოლო თანამომხსენებლად – შესაბამისი კომიტეტის წარმომადგენელი. საქართველოს პრეზიდენტის ან მთავრობის ინიციატივით შემოტანილ კანონპროექტზე მომხსენებლად დანიშნული პირი არ შეიძლება იყოს პარლამენტის წევრი. პარლამენტის წევრის, კომიტეტის ან ფრაქციის მიერ შემოტანილ კანონპროექტზე თანამომხსენებლად გამოდის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენელი.”.

31. 157-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კანონპროექტის (ალტერნატიული კანონპროექტებიდან ერთ-ერთის საფუძვლად) პირველი მოსმენით მიღების შესახებ;

ბ) გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით ახალი კანონპროექტის შემუშავების შესახებ.”;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კანონპროექტი, რომელიც პირველი მოსმენით კენჭისყრისას ვერ დააგროვებს მისი მიღებისათვის კონსტიტუციითა და ამ რეგლამენტით მისი მიღებისათვის დადგენილ ხმათა საჭირო რაოდენობას უარყოფილად ითვლება და ფორმდება დადგენილება კანონპროექტის უარყოფის შესახებ. დაუშვებელია პირველი მოსმენით უარყოფილი კანონპროექტის პარლამენტის იმავე სესიაზე განმეორებით გატანა.”.

32. 158-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 158

1. კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღების შემდეგ იგი მასზე გამოთქმული შენიშვნების პროექტში ასახვისათვის და მეორე მოსმენით განხილვისათვის მოსამზადებლად გადაეცემა წამყვან კომიტეტს.

2. კანონპროექტის პირველი მოსმენით მიღებიდან 2 კვირის ვადაში წამყვანი კომიტეტი სხდომაზე განიხილავს მას პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვისათვის მოსამზადებლად. თუ ამ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში კომიტეტი ვერ მოახერხებს კანონპროექტის განხილვას, იგი შეიძლება გაგრძელდეს კომიტეტის თავმჯდომარის მოტივირებული წინადადების საფუძველზე, პარლამენტის ბიუროს გადანყვეტილებით. წამყვან კომიტეტში კანონპროექტის განხილვისათვის დადგენილი ვადების დარღვევის შემთხვევაში პარლამენტის ბიურო უფლებამოსილია განიხილოს აღნიშნული ფაქტი და დასვას შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარის პასუხისმგებლობის საკითხი.

3. პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით განხილვისას გაზიარებული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული კანონპროექტი პირველი მოსმენით მიღებიდან 3 კვირის ვადაში კომიტეტის თავმჯდომარის, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილი მოადგილის ხელმოწერით, წერილობითი ფორმით წარედგინება პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით განხილვისა და კენჭისყრისათვის. ამასთან კანონპროექტის თითოეული გვერდი ვიზირებულ უნდა იქნეს კომიტეტის აპარატის უფროსის მიერ.”.

4. პარლამენტის პლენარული სხდომისათვის მეორე მოსმენით წარდგენილ კანონპროექტს უნდა ერთვოდეს პლენარულ სხდომაზე პირველი მოსმენით განხილვისას კანონპროექტის თაობაზე გამოთქმული შენიშვნების პროექტში გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ფურცელი, წამყვანი კომიტეტისა და პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის დასკვნები.

5. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტი განიხილება ქვეპუნქტების, პუნქტების (ნაწილების), მუხლების, თავების ან/და კარების მიხედვით. კანონპროექტის მეორე მოსმენისას პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მომხსენებელი პარლამენტს გააცნობს კანონპროექტს თითოეული ქვეპუნქტის პუნქტის (ნაწილის) მუხლის, თავის ან/და კარის მიხედვით. ასევე ალტერნატიულ წინადადებებს. მომხსენებლის გამოსვლისას პარლამენტის წევრებს უფლება აქვთ კანონპროექტის თაობაზე შეკითხვით მიმართონ მომხსენებელს. თითოეული შეკითხვის ავტორისათვის გამოყოფილი დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთს. ამასთან, მას შეუძლია დაზუსტებისათვის ისარგებლოს არა უმეტეს 1 წუთით. პარლამენტის წევრს უფლება აქვს შესაბამის ქვეპუნქტთან, პუნქტთან (ნაწილის) მუხლთან, თავთან ან/და კართან დაკავშირებით, შეკითხვისა და დაზუსტებისათვის გამოვიდეს მხოლოდ ერთხელ. შეკითხვის დასმისა და დაზუსტებისათვის გამოიყენება სხდომათა დარბაზში განლაგებული მიკროფონები. კანონპროექტის განხილვის დაწყებამდე პარლამენტის წევრის მოთხოვნის საფუძველზე სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს შეკითხვისათვის დამატებით გამოყოს 2 წუთი ხოლო დაზუსტებისათვის ერთი წუთი. თითოეულ დასმულ კითხვას მომხსენებელი შეკითხვის დასმისთანავე პასუხობს ცალ-ცალკე.

6. მომხსენებლის გამოსვლის დასრულების შემდეგ სიტყვით, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს, გამოდის თანამომხსენებელი. პარლამენტის წევრებს უფლება აქვთ კანონპროექტის თაობაზე შეკითხვით მიმართონ თანამომხსენებელს. თითოეული შეკითხვის ავტორს შეუძლია გამოვიდეს მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს 1 წუთით. შეკითხვის დასმისათვის გამოიყენება სხდომათა დარბაზში განლაგებული მიკროფონები. შეკითხვების დასრულების შემდეგ თანამომხსენებელს უფლება აქვს ერთობლივად უპასუხოს ყველა დასმულ შეკითხვას. მისი პასუხი არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.

7. მომხსენებლისა და თანამომხსენებლის გამოსვლების დასრულების შემდეგ სიტყვით გამოდის ის პარლამენტის წევრი, კომიტეტის, ფრაქციის, უმრავლესობის, უმცირესობის წარმომადგენელი ალტერნატიული წინადადებაც გამოტანილი იქნა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. ალტერნატიული წინადადების ავტორის გამოსვლა არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს. ალტერნატიული წინადადების ავტორს პარლამენტის წევრებმა 1 წუთიან რეჟიმში შეიძლება დაუსვან კითხვა, მხოლოდ ერთხელ. ფრაქციას, უმრავლესობას, უმცირესობას უფლება აქვს ერთჯერ ისარგებლოს ერთნუთიანი გამოსვლით პროცედურულ საკითხზე.

8. ამ მუხლის მე-5 - მე-7 პუნქტებში გათვალისწინებული პირების გამოსვლის დასრულების შემდეგ სიტყვით გამოდის წამყვანი კომიტეტისა და სხვა კომიტეტების წარმომადგენლები, თუ წამყვანი კომიტეტის წარმომადგენელი არ არის თანამომხსენებელი. წამყვანი კომიტეტის წარმომადგენლის გამოსვლა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს, ხოლო სხვა კომიტეტის წარმომადგენლის გამოსვლა – 5 წუთს.

9. წამყვანი კომიტეტისა და სხვა კომიტეტების წარმომადგენლების გამოსვლების დასრულების შემდეგ სიტყვით გამოდის ცალკეული პარლამენტის წევრები, რომელთა სიტყვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს. ამისათვის პარლამენტის წევრები მომხსენებლის მოხსენების დამთავრებამდე პირადად ეწერებიან გამომსვლელთა სიაში, რომელიც დგება სხდომის სამდივნოში და წარედგინება სხდომის თავმჯდომარეს. ამ პარლამენტის წევრთა თანამიმდევრობას განსაზღვრავს სხდომის თავმჯდომარე გამომსვლელთა სიაში ჩანერის მიხედვით. გამომსვლელთა რიგითობის დაცვა სავალდებულოა. დაუშვებელია გამოსვლა სხდომის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე. ამასთან, პარლამენტის წევრი გამომსვლელთა სიაში შეიძლება ჩანეროს მხოლოდ ერთხელ. პარლამენტის წევრს, რომელიც ჩანერილია გამომსვლელთა სიაში და თავისი გამოსვლის დროისათვის ესწრება სხდომას, უფლება აქვს მისი გამოსვლისათვის განკუთვნილი დრო დაუთმოს

სხვა პარლამენტის წევრს. თუ პარლამენტის წევრი სიტყვის მიცემის მომენტისათვის სხდომას არ ესწრება, მას აღარ აქვს ამ საკითხზე გამოსვლის უფლება.

10. პარლამენტის წევრების გამოსვლების დასრულების შემდეგ სიტყვით გამოდიან იმ ფრაქციების წარმომადგენლები, რომლებიც არ არიან გაერთიანებული უმრავლესობაში ან უმცირესობაში, უმცირესობის, უმრავლესობის წარმომადგენლები ამავე თანამიმდევრობით და სხდომას მოახსენებენ თავიანთ პოზიციას წარმოდგენილი კანონპროექტის ზოგადი თაობაზე. ფრაქციის წარმომადგენლის გამოსვლა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს, ხოლო უმცირესობის ან უმრავლესობის წარმომადგენლის გამოსვლა – 15 წუთს.

11. მომხსენებელი, თანამომხსენებელი, კომიტეტის, ფრაქციის, უმცირესობის, უმრავლესობის წარმომადგენელი სიტყვას წარმოთქვამს სხდომათა დარბაზში პრეზიდენტის წინ განლაგებული ტრიბუნიდან.

12. ფრაქციის, უმცირესობის, უმრავლესობის წარმომადგენელთა გამოსვლების დასრულების შემდეგ დასკვნითი სიტყვით, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს, გამოდის მომხსენებელი.

13. მეორე მოსმენისას კანონპროექტს კენჭი ეყრება ერთიანად, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – კარების, თავების, მუხლების, პუნქტების (ნაწილების), ქვეპუნქტების მიხედვით. ალტერნატიულ წინადადებას პირველ რიგში ეყრება კენჭი.

14. კანონპროექტის მეორე მოსმენის დასრულების შემდეგ, კენჭისყრის საფუძველზე პარლამენტი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღების შესახებ;

ბ) დამატებითი დამუშავებისათვის კანონპროექტის წამყვან კომიტეტში დაბრუნების შესახებ.

15. კანონპროექტი, რომელიც მეორე მოსმენით კენჭისყრისას ვერ დააგროვებს მისი მიღებისათვის კონსტიტუციითა და ამ რეგლამენტით დადგენილ ხმათა საჭირო რაოდენობას ჩავარდნილად ითვლება და ფორმდება დადგენილება კანონპროექტის მეორე მოსმენით არ მიღების შესახებ

16. დასაშვებია კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღება ცალკეული მუხლების გამოკლებით. ისინი შეიძლება შემოტანილ იქნეს მესამე მოსმენისას.”.

17. თუ პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენისას ჩავარდნილი კანონპროექტი ერთი თვის განმავლობაში ინიციატორის მოთხოვნით არ დადგება პლენარულ სხდომაზე კენჭისყრაზე კანონპროექტი უარყოფილად ჩაითვლება. ასევე უარყოფილად ჩაითვლება კანონპროექტი, რომელიც სესიის განმავლობაში მეორე მოსმენით კენჭისყრების შედეგად 3 ჯერ ვერ დააგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას.”.

33. 159-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღების შემდეგ წამყვანი კომიტეტი სხდომაზე განიხილავს მას პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის მესამე მოსმენით განხილვისათვის მოსამზადებლად. კომიტეტის სხდომის შემდეგ კანონპროექტი კომიტეტის თავმჯდომარის, ხოლო მისი არ ყოფნის შემთხვევაში უფლებამოსილი მოადგილის ხელმოწერით, წერილობითი ფორმით ეგზავნება პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს პარლამენტის ბიუროს უახლოესი სხდომის დღის წესრიგში შესატანად. ამასთან კანონპროექტის თითოეული გვერდი ვიზირებულ უნდა იქნეს კომიტეტის აპარატის უფროსის მიერ.”;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. მესამე მოსმენისათვის პარლამენტის წევრებს ურიგდება კანონპროექტის რედაქტირებული ვარიანტი, რომელშიც ასახულია კანონპროექტის მეორე მოსმენისას განიარაღებული შენიშვნები. მესამე მოსმენისას კანონპროექტში შესაძლებელია მხოლოდ რედაქციული ცვლილებების შეტანა.”;

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მესამე მოსმენისას კანონპროექტს წარადგენს მომხსენებელი, რომელსაც პარლამენტის წევრებმა შეიძლება დაუსვან კანონპროექტზე რედაქციული ხასიათის შენიშვნები. რედაქციული შენიშვნებისათვის გამოსვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს. ამასთან, პირი ერთსა და იმავე საკითხთან დაკავშირებით შეიძლება გამოვიდეს მხოლოდ ერთხელ.“;

დ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7¹ და 7² პუნქტები:

„7¹. კანონპროექტი, რომელიც მესამე მოსმენით კენჭისყრისას ვერ დააგროვებს მისი მიღებისათვის კონსტიტუციითა და ამ რეგლამენტით მისი მიღებისათვის დადგენილ ხმათა საჭირო რაოდენობას ჩავარდნილად ითვლება. ასეთ შემთხვევაში ფორმდება დადგენილება კანონპროექტის მესამე მოსმენით არ მიღების შესახებ.“

7² თუ პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენისას ჩავარდნილი კანონპროექტი ერთი თვის განმავლობაში ინიციატორის მოთხოვნით არ დადგება პლენარულ სხდომაზე კენჭისყრაზე კანონპროექტი უარყოფილად ჩაითვლება. ასევე უარყოფილად ჩაითვლება კანონპროექტი, რომელიც მესამე მოსმენით კენჭისყრების შედეგად ერთი სესიის 3 ჯერ ვერ დააგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას“.

34. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 159¹ მუხლი:

„მუხლი 159¹“

1. პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის განხილვისას, აუცილებლობის შემთხვევაში, მომხსენებლის ან თანამომხსენებლის მოტივირებული წინადადების საფუძველზე, პარლამენტმა შეიძლება მიიღოს დადგენილებით გადანყვეტილება მესამე მოსმენიდან კანონპროექტის მეორე მოსმენით პლენარულ სხდომაზე განხილვის სტადიაზე დაბრუნების შესახებ.

2. მე-2 და მე-3 მოსმენისას უარყოფილ კანონპროექტს პარლამენტი იხილავს ახალი საკანონმდებლო ინიციატივის წესით მისი წარდგენის შემთხვევაში“.

35. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 159² მუხლი:

„მუხლი 159²“

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის (ან სხვა აქტის პროექტის) განხილვის დაწყებისას სხდომათა დარბაზში მომხსენებლის ან/და თანამომხსენებლის არ ყოფნის შემთხვევაში კანონპროექტი (ან სხვა აქტის პროექტი) იხსნება პლენარულის სხდომის იმ კვირის დღის წესრიგიდან და გადადის მომდევნო პლენარული სხდომის დღის წესრიგში“.

36. 160-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა და მიღება გულისხმობს სამივე მოსმენით მის განხილვასა და მიღებას პლენარული სხდომების 1 კვირის განმავლობაში. ამასთან, დაუშვებელია პლენარული სხდომის 1 დღეს კანონპროექტის ერთზე მეტი მოსმენით განხილვა და მიღება.“.

37. 163-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი პარლამენტს წარედგინება და კომიტეტებში განიხილება კანონპროექტი წარდგენისა და კომიტეტში განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.“. (აქ შეიძლება მითითებითი ნორმა)

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. პარლამენტის დადგენილების პროექტი, როგორც წესი, განიხილება ერთი მოსმენით, კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისათვის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.“.

გ) მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) წარმოდგენილი პროექტის საფუძველად მიღების, მეორე მოსმენით პლენარულ სხდომაზე განხილვისათვის წამყვანი კომიტეტისათვის მოსამზადებლად გადაცემისა შესახებ“.

ბ) წარმოდგენილი პროექტის უარყოფის შესახებ.

38. 167-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 167“

პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 7 დღის ვადაში, კანონპროექტის ინიციატორის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარის

(მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებლის), კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი პირის, პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტისა და საორგანიზაციო დეპარტამენტის სარედაქციო განყოფილების მიერ ვიზირებისა და პლენარული სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერის შემდეგ გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს.”.

39. 179-ე მუხლის:

ა) პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის და მთავრობის მოხსენების მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ მიღებიდან 2 დღის ვადაში, კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობის, უმცირესობის წარმომადგენლებთან პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრის შემდეგ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე უზრუნველყოფს პროექტისა და მთავრობის მოხსენების განხილვის გრაფიკის შედგენას.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი და მთავრობის მოხსენება მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, ასევე პროექტის განხილვის გრაფიკი მისი დამტკიცების მომდევნო დღეს ეგზავნება კომიტეტებს, უმრავლესობას, უმცირესობას, ფრაქციებსა და დამოუკიდებელ პარლამენტის წევრთა საკოორდინაციო საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიულ დეპარტამენტს, აგრეთვე, საქართველოს ეროვნულ ბანკს და საქართველოს კონტროლის პალატას, ხოლო მთავრობას - მხოლოდ განხილვის გრაფიკი. საქართველოს კონტროლის პალატა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის შემაჯამებელი სხდომამდე 2 დღით ადრე პარლამენტს წარმოუდგენს დასკვნას ბიუჯეტის პროექტის ხარჯების კანონიერებისა და საფუძვლიანობის თაობაზე.

3. დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს და მთავრობის მოხსენებას მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ განიხილავენ კომიტეტები, ფრაქციები, უმრავლესობა, უმცირესობა. ისინი ამზადებენ შესაბამის დასკვნებს, რომლებიც ეგზავნება საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. კომიტეტების მიერ შესაძლებელია ერთობლივი დასკვნის მომზადება.”;

ბ) მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის ის ნაწილი, რომელიც ეხება სახელმწიფო საიდუმლოებას განიხილავს ნდობის ჯგუფი. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვისას ნდობის ჯგუფი მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე თავის დასკვნებს სპეციალური პროგრამებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში ამ პროგრამებისათვის გასათვალისწინებელი თანხების შესახებ წარუდგენს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს.

7. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი სხვა კომიტეტების, ფრაქციების, უმრავლესობის, უმცირესობის, იურიდიული დეპარტამენტის, ეროვნული ბანკის, საქართველოს კონტროლის პალატის და პარლამენტის იმ წევრთა დასკვნებს, რომლებიც არ არიან გაერთიანებულნი არც ერთ ფრაქციაში, წარუდგენს პარლამენტის თავმჯდომარეს არა უგვიანეს 20 ოქტომბრისა.”.

ბ) მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გადამუშავებულ პროექტს განსახილველად წარუდგენს პარლამენტს არა უგვიანეს 1 ნოემბრისა. პროექტს უნდა ერთვოდეს ინფორმაცია წარდგენილი წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ, თითოეული მათგანის გათვალისწინების მდგომარეობის მითითებით.”.

40. 180-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს წარადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან მთავრობის სხვა წევრი.”;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. კამათის დამთავრების შემდეგ სხდომის თავმჯდომარე სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვაში აცხადებს შესვენებას.”.

41. 181-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პარლამენტის თავმჯდომარე მიღებულ დასკვნებსა და წინადადებებს (შენიშვნებს) ერთი დღის ვადაში უგზავნის საქართველოს მთავრობას.“.

42. 182-ე მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მთავრობა რეგლამენტის 181-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტზე დასკვნების და წინადადებების (შენიშვნების) გადაცემიდან არა უგვიანეს 5 დღისა პარლამენტს გადასცემს პროექტის საბოლოო ვარიანტს ამ რეგლამენტის 179-ე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციასთან ერთად, რომელიც მომდევნო დღეს ეგზავნება კომიტეტებს, ფრაქციებს, უმრავლესობას, უმცირესობას, დამოუკიდებელ პარლამენტის წევრთა საკორდინაციო საბჭოს, ასევე მოთხოვნის შემთხვევაში ცალკეულ პარლამენტის წევრებს.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს პარლამენტი პლენარულ სხდომაზე განიხილავს მთავრობის მიერ ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტის გადაცემიდან არაუადრეს 5 დღისა. პროექტის განხილვა გრძელდება მთავრობის წევრის მოხსენებით, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 1 საათს.“.

ბ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის განხილვისა და მიღების მიზნით, შესაბამის კანონპროექტის განხილვის პროცედურების დანყების შესახებ პარლამენტის ბიუროს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2 დღის განმავლობაში საფინანსო – საბიუჯეტო კომიტეტი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს დადგენილების პროექტს რეგლამენტის 179-ე – 182-ე მუხლებით დადგენილი ღონისძიებების გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტის განხილვის ახალი ვადების განსაზღვრის შესახებ. კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირებას (სეკვესტრი) პლენარულ სხდომაზე შეიძლება განხილულ იქნეს პარლამენტში მისი წარდგენიდან ერთი თვის შემდეგ.“

43. 183-ე მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

10. თუ მთავრობის შემადგენლობამ და სამთავრობო პროგრამამ ზედიზედ სამჯერ ვერ მიიღო პარლამენტის ნდობა, 5 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი წარადგენს პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას ან პარლამენტის თანხმობის გარეშე ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი, ასევე 5 დღის ვადაში, ნიშნავს მთავრობის წევრებს პრეზიდენტის თანხმობით. ამ შემთხვევაში პრეზიდენტი ითხოვს პარლამენტს და ნიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.“.

44. 190-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების, ასევე საქართველოს კონსტიტუციითა ან/და კანონით განსაზღვრულ პირთა თანამდებობაზე არჩევის, დანიშვნის, დამტკიცების ან დანიშვნაზე თანხმობის მიცემის, განთავისუფლების, განთავისუფლებაზე თანხმობის მიცემის, გადადგომის საკითხებს პარლამენტის მიერ განხილვამდე მათ კანდიდატურებს წარდგენიდან 1 კვირის ვადაში განიხილავს შესაბამისი პროფილის კომიტეტი. კანდიდატების განხილვა პარლამენტის ბიურომ შეიძლება დაავალოს ასევე სხვა კომიტეტსაც (კომიტეტებსაც). შესაბამისი პროფილის კომიტეტი (კომიტეტები) განხილვის შედეგად ამზადებს დასკვნას და წარუდგენს პარლამენტის ბიუროს, რომელიც მის საფუძველზე იღებს დასკვნას და წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს.“.

45. 195-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან არ გაიზიარებს პარლამენტის გადაწყვეტილებას. თუ პარლამენტი უნდობლობის გამოცხადებიდან არა უადრეს 90 და არა უგვიანეს 100 დღისა კვლავ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, პრეზიდენტი გადააყენებს მთავრობას ან დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს. საქართველოს კონსტიტუციის 51¹ მუხლის

„ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას უნდობლობის გამოცხადების შესახებ განმეორებითი კენჭისყრა უნდა ჩატარდეს ამ გარემოებების აღმოფხვრიდან 15 დღის ვადაში.”;

ბ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებასთან დაკავშირებით კენჭისყრა უნდა ჩატარდეს საკითხის დასმიდან 15 დღის ვადაში. ამ ვადაში კენჭისყრის ჩატარებლობა ნიშნავს ნდობის გამოცხადებას.“.

46. 202-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹ პარლამენტი კონტროლს უწევს მთავრობის, მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მათი შესრულების მდგომარეობას, შეისწავლის და აანალიზებს ნორმატიული აქტის აღსრულების მდგომარეობას, ეფექტიანობას, მისი მოქმედების პერიოდში გამოვლენილი ხარვეზებს, განიხილავს მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებებს, ასევე ნორმატიული აქტის სრულფასოვნად ამოქმედების ხელის შემშლელი ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს. პარლამენტი საჭიროების შემთხვევაში იღებს დადგენილებას, რომელშიც შეიძლება აისახოს პარლამენტის შეფასება ნორმატიული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით, ნორმატიულ აქტში სათანადო შესწორებების შეტანის რეკომენდაციით. (დავალებით)“.

47. 206-ე მუხლის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 206

1. პარლამენტის მუშაობის მოქალაქეთათვის უკეთ გაცნობის, მათ საჩივრებსა და განცხადებებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით პარლამენტში პარლამენტის აპარატში ფუნქციონირებს მოქალაქეთა საზოგადოებრივი მისაღები.

2. მოქალაქეთა საზოგადოებრივი მისაღები მუშაობს ყოველდღე, გარდა კვირისა. .

48. 216-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საქართველოს კონტროლის პალატის საქმიანობას ყოველწლიურად ამონებებს პარლამენტის გადანყვეტილებით შექმნილი დროებითი კომისია. აღნიშნულ კომისიას ამ რეგლამენტით დადგენილი წესით პარლამენტი ქმნის არაუგვიანეს 1 დეკემბრისა.

49. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის XXXIV¹ თავი:

„თავი XXXIV¹
კომიტეტების ანგარიში

მუხლი 221¹

1. კომიტეტის თავმჯდომარეები, ყოველი წლის შედეგების მიხედვით, საშემოდგომო სესიის დაწყებისთანავე წარუდგენენ პარლამენტს განუყოფელი საქმიანობის წერილობით ანგარიშს.

2. ანგარიში წარედგინება პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტს, რომელიც დაუყოვნებლივ უგზავნის მას პარლამენტის თავმჯდომარეს, ბიუროს, უმრავლესობას, უმცირესობას, საპარლამენტო ფრაქციასა და დამოუკიდებელ პარლამენტის წევრთა საკოორდინაციო საბჭოს.

3. პარლამენტის ბიუროს ანგარიშების განხილვის საკითხი შეაქვს საშემოდგომო სესიის პირველივე პლენარული სხდომის დღის წესრიგში.

4. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე ანგარიშის თაობაზე მომხსენებლის გამოსვლა არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს (აუცილებლობის შემთხვევაში გამოსვლის ხანგრძლივობა 30 წუთამდე შეიძლება გაგრძელდეს სხდომის თავმჯდომარის გადანყვეტილებით).

5. მომხსენებლის გამოსვლის დასრულების შემდეგ პარლამენტის წევრებს უფლება აქვთ ანგარიშის თაობაზე შეკითხვით მიმართონ მომხსენებელს. თითოეული შეკითხვის ავტორისათვის გამოყოფილი დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთს, ამასთან, მას შეუძლია დაზუსტებისათვის ისარგებლოს არა უმეტეს 1 წუთით. პარლამენტის წევრს უფლება აქვს შეკითხვისა და დაზუსტებისათვის გამოვიდეს მხოლოდ ერთხელ. მომხსენებელი დასმულ შეკითხვებს პასუხობს ცალ-ცალკე.

6. მომხსენებლის გამოსვლის დასრულების შემდეგ სიტყვით გამოდიან დამოუკიდებელ პარლამენტის წევრთა საკოორდინაციო საბჭოს, იმ ფრაქციების წარმომადგენლები, რომლებიც არ არიან გაერთიანებულნი უმრავლესობაში ან უმცირესობაში, უმცირესობის, უმრავლესობის

ნარმომადგენლები ამავე თანამიმდევრობით და სხდომას მოახსენებენ თავიანთ პოზიციას ნარმოდგენილი ანგარიშის თაობაზე. დამოუკიდებელ პარლამენტის წევრთა საკოორდინაციო საბჭოსა და ფრაქციის წარმომადგენლის გამოსვლა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს, ხოლო უმცირესობის ან უმრავლესობის წარმომადგენლის გამოსვლა 15 წუთს.

7. დამოუკიდებელ პარლამენტის წევრთა საკოორდინაციო საბჭოს, ფრაქციის, უმცირესობის, უმრავლესობის წარმომადგენელთა გამოსვლების დასრულების შემდეგ დასკვნითი სიტყვით, რომლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს, გამოდის მომხსენებელი.

8. პარლამენტი დადგენილებით იღებს გადაწყვეტილებას ანგარიშის დამტკიცების თაობაზე.

50. XXXV თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XXXV
პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობანი .

51. 222-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 222

1. საგარეო ურთიერთობებში საქართველოს პარლამენტის უმაღლესი წარმომადგენლი არის პარლამენტის თავმჯდომარე.

2. პარლამენტის თავმჯდომარე, სხვა სახელმწიფოში ვიზიტისა და იქ განეული მუშაობის შედეგების შესახებ ინფორმაციას, ანგარიშს და მოსაზრებებს ვიზიტის თაობაზე ვიზიტის დამთავრებიდან არა უგვიანეს 14 დღისა წარუდგენს პარლამენტის ბიუროს, საჭიროების შემთხვევაში ეს ანგარიში შეიძლება წარედგინოს პლენარულ სხდომას.

52. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 222¹ მუხლი:

„მუხლი 222¹

1. პარლამენტი უფლებამოსილია სხვა სახელმწიფოთა პარლამენტებთან და საერთაშორისო საპარლამენტო საშორისო და სხვა ორგანიზაციებთან დადოს შეთანხმებები თანამშრომლობის შესახებ.

2. პარლამენტი უფლებამოსილია ყოველ წელს დაამტკიცოს სხვა სახელმწიფოების პარლამენტებთან თანამშრომლობის პროგრამა, რომელსაც შეიმუშავებს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი სხვა კომიტეტების, ფრაქციების, მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციებისა და პარლამენტის წევრების წინადადებათა გათვალისწინებით. პარლამენტი შეიმუშავებს და ამტკიცებს საპარლამენტო დელეგაციების (საპარლამენტო და სამუშაო ჯგუფების) მუშაობის წესს.

3. პარლამენტს ოფიციალური საპარლამენტო დელეგაციის შემადგენლობისა და გამგზავრების შესახებ უნდა ეცნობოს არა უგვიანეს 1 კვირისა.

4. ოფიციალურ საპარლამენტო დელეგაციებს, როგორც წესი, ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარე ან მისივე დავალებით მისი ერთ-ერთი მოადგილე ან პარლამენტის წევრი. იმ შემთხვევაში, თუ საპარლამენტო დელეგაციას ხელმძღვანელობს პარლამენტის თავმჯდომარე ან მისივე დავალებით მისი ერთ-ერთი მოადგილე, აღნიშნული დელეგაციის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პარლამენტის თავმჯდომარის სხვა მოადგილეები.

5. სესიების პერიოდში, პარლამენტის წევრის ოფიციალური საპარლამენტო დელეგაციის შემადგენლობაში სხვა სახელმწიფოში ვიზიტისას, პარლამენტის წევრი ვალდებულია არა უგვიანეს 3 დღისა გაეთავისუფლოს პარლამენტის თავმჯდომარესა და შესაბამისი კომიტეტის თავმჯდომარეს პარლამენტის პლენარულ და კომიტეტის სხდომებზე დასწრებისაგან.

53. 223-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 223

საპარლამენტო დელეგაციების სხვა სახელმწიფოში ვიზიტისა და იქ განეული მუშაობის შედეგების შესახებ ინფორმაციას, ანგარიშს და მოსაზრებებს ვიზიტის თაობაზე ვიზიტის დამთავრებიდან არა უგვიანეს 14 დღისა დელეგაციის ხელმძღვანელი წარუდგენს პარლამენტის ბიუროს. პარლამენტის წევრთა ათკაციანი ჯგუფის, კომიტეტის, ფრაქციის მოთხოვნით მათი ეს ანგარიში შეიძლება პარლამენტის პლენარული სხდომის განხილვის საგანი გახდეს.

54. XXXVI თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XXXVI
მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციები.
მეგობრობის ჯგუფები

მუხლი 227

1. საერთაშორისო საპარლამენტაშორისო ორგანიზაციებთან რეგულარული ურთიერთობის დამყარების მიზნით, პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების გათვალისწინებით განისაზღვრება მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობა.

2. მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის საქმიანობას წარმართავს დელეგაციის ხელმძღვანელი, რომელიც ყოველი წლის საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან არა უგვიანეს 1 თვისა პარლამენტს წარუდგენს განუყოფელი საქმიანობის ანგარიშს. ანგარიშის მოსმენის დროს თანამომხსენებელია საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი. პლენარულ სხდომაზე ანგარიშის მოსმენის შემდეგ პარლამენტი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. აღნიშნული გადაწყვეტილებით შესაძლებელია ცვლილება შევიდეს დელეგაციის შემადგენლობაში.

მუხლი 228

1. სხვა სახელმწიფოთა პარლამენტებთან რეგულარული ურთიერთობის დამყარების მიზნით პარლამენტში დადგენილებით იქმნება მეგობრობის ჯგუფები.

2. მეგობრობის ჯგუფის შემადგენლობას, პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების გათვალისწინებით დადგენილებით ამტკიცებს პარლამენტი.

3. მეგობრობის ჯგუფების საქმიანობას კოორდინაციას უწევს საგარეო საქმეთა კომიტეტი, რომელიც განუყოფელი საქმიანობის ანგარიშს ყოველწლიურად წარუდგენს პარლამენტის ბიუროს.

4. მეგობრობის ჯგუფის წევრების მივლინების ხარჯების ანაზღაურება ხდება იმ ფრაქციებისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან, რომელშიც გაერთიანებულია მეგობრობის ჯგუფის წევრი.

5. მეგობრობის ჯგუფის სხვა სახელმწიფოში ვიზიტისა და იქ განუყოფელი მუშაობის შედეგების შესახებ ინფორმაციას, ანგარიშს და მოსაზრებებს ვიზიტის თაობაზე ვიზიტის დამთავრებიდან არა უგვიანეს 10 დღისა ჯგუფის ხელმძღვანელი წარუდგენს პარლამენტის ბიუროს. პარლამენტის წევრთა ათკაციანი ჯგუფის, კომიტეტის, ფრაქციის მოთხოვნით მათი ეს ანგარიში შეიძლება პარლამენტის პლენარული სხდომის განხილვის საგანი გახდეს.

55. 242-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პრეზიდენტს გადაწყვეტილება ომის გამოცხადების ან სათანადო პირობების არსებობისას ზავის დადების შესახებ პარლამენტში დასამტკიცებლად შეაქვს ამ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 48 საათისა.

56. რეგლამენტის XLIV თავი სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი XLIV
პარლამენტის აპარატი .

57. 257-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. პარლამენტის აპარატში დასაშვებია პრაქტიკისა და სტაჟირების გავლა. პარლამენტის აპარატში პრაქტიკისა და სტაჟირების გავლის წესს ამტკიცებს პარლამენტის თავმჯდომარე.

58. 259-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პარლამენტის მანდატურის სამსახურის დებულებას აპარატის უფროსის წარდგინებით ბრძანებით ამტკიცებს პარლამენტის თავმჯდომარე.

59. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 259¹ და 259² მუხლები:

„მუხლი 259¹

1. პარლამენტის, კომიტეტების, ფრაქციებისა და ცალკეული პარლამენტის წევრის საფინანსო, საბიუჯეტო და ეკონომიკური ხასიათის სხვა ანალიტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზნით პარლამენტის აპარატში იქმნება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი.

2. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსს პარლამენტის აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარლამენტის თავმჯდომარე.

3. პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება შესაბამისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს პარლამენტის თავმჯდომარე.

მუხლი 259²

1. ადგილობრივი საკითხების გადანყვეტაში პარლამენტის წევრის მონაწილეობის, ამომრჩევლებთან მუშაობის ორგანიზების, ამომრჩევლებთან და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან პარლამენტის ურთიერთობის და შესაბამის ტერიტორიულ ერთეულებში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ პარლამენტის წევრთა საქმიანობის კოორდინირების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულში (ერთეულებში) შეიძლება შეიქმნას საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობა (შემდგომ - პარლამენტის წარმომადგენლობა).

2. პარლამენტის წარმომადგენლობის შექმნის შესახებ გადანყვეტილებას პარლამენტის ბიუროსთან შეთანხმებით იღებს პარლამენტის თავმჯდომარე.

3. პარლამენტის წარმომადგენლობის დებულებას, საშტატო განრიგს და შრომის ანაზღაურების პირობებს პარლამენტის აპარატის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

4. პარლამენტის წარმომადგენლობის უფროსს პარლამენტის აპარატის უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარლამენტის თავმჯდომარე.

5. პარლამენტის წარმომადგენლობის თანამშრომლებს საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს პარლამენტის აპარატის უფროსი პარლამენტის წარმომადგენლობის უფროსის წარდგინებით.

60. რეგლამენტს 259² მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის XLIV¹ თავი და მასში გაერთიანდეს 260-ე და 261-ე მუხლები:

„თავი XLIV¹
პარლამენტთან არსებული დანესებულებები .

61. 260-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პარლამენტის თავმჯდომარე. ;

„3. ეროვნული ბიბლიოთეკის დებულებას, საშტატო განრიგს და შრომის ანაზღაურების პირობებს ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. .

62. 261-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. აუდიტორული საბჭოს სტრუქტურას, საშტატო განრიგს და მომსახურეთა თანამდებობრივ სარგოს განაკვეთებს აუდიტორული საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.“.

63. 262-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

64. 264-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 8¹ და 8² პუნქტები:

„8¹. პარლამენტის წევრს, რომელიც პლენარულ სხდომათა დარბაზში სჩადის ფიზიკურ ძალადობას, 263-ე მუხლის „დ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ზემოქმედების ფორმასთან ერთად ან მის გარეშე, აღნიშნული დღიდან სამი თვის განმავლობაში ყოველთვიურად

დაუკავდება ხელფასის 50% და ერთი კვირის განმავლობაში პლენარულ სხდომაზე ჩამოერთმევა სიტყვა. პარლამენტის წევრის მიერ სხდომათა დარბაზში ძალადობის ჩადენის ფაქტზე, სხდომის თავმჯდომარის განცხადების საფუძველზე ფორმდება საოქმო ჩანაწერი, რომელსაც მანდატურთუხუცესი 24 საათის განმავლობაში უგზავნის პარლამენტის აპარატის საფინანსო დეპარტამენტს ამ პუნქტის შესაბამისად ხელფასის დასაკავებლად.

8². პარლამენტის წევრს, რომელსაც პლენარულ სხდომაზე ევალება კანონპროექტის წარდგენა და კანონპროექტის წარდგენის დროს არ იმყოფება პლენარული სხდომის დარბაზში დაუკავდება ხელფასის 10%. პარლამენტის წევრის მიერ სხდომათა დარბაზში კანონპროექტის წარუდგენლობის ფაქტზე, სხდომის თავმჯდომარის განცხადების საფუძველზე ფორმდება საოქმო ჩანაწერი, რომელსაც მანდატურთუხუცესი 24 საათის განმავლობაში უგზავნის პარლამენტის აპარატის საფინანსო დეპარტამენტს ამ პუნქტის შესაბამისად ხელფასის დასაკავებლად. .

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე

ნინო ბურჯანაძე

თბილისი,
2005 წლის --- სექტემბერი
N -----